

საქართველოს კანონი

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3, 16.01.2006, მუხ. 16) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობის მისაღებად სპეციალური ნებართვა არ ესაჭიროებათ შემდეგ პირებს:

ა) პირებს, რომლებიც 1993 წლის 27 მარტისათვის მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს მოქალაქეებად არ ჩაითვალნენ, თუ 1993 წლის 27 მარტის შემდეგ არ მოხსნილან საქართველოში მუდმივი რეგისტრაციიდან;

ბ) პირებს, რომლებიც გავიდნენ საქართველოს მოქალაქეობიდან და არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.“.

2. 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2² პუნქტი:

„2². საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების შესახებ განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა იქნეს წარდგენილი სახელმწიფო ენაზე. სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი ქართულენოვანი თარგმანის გარეშე, თუ იგი შეიცავს უცხოელის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით.“.

3. 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უცხოელს, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვაზე, უფლება აქვს იმავე საფუძველზე განმეორებით შეიტანოს განცხადება წინა განცხადებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არანაკლებ 3 თვის შემდეგ.“.

4. 25-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1“ პუნქტი:

„1. ამ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს საქართველოში ყოფნის ვადა შეუწყდებათ აგრეთვე მათ მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში.“.

5. 50-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ უცხოელი საქართველოს ტერიტორიას დატოვებს ვიზის, ბინადრობის

ნებართვის ან ლტოლვილის მოწმობის ვადის ამოწურვიდან 10 დღის განმავლობაში მას არ დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.“;

ბ) მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თუ მას შეტანილი აქვს განცხადება სააგენტოში საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად, – არა უმეტეს 3 თვის ვადით;“;

გ) მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა¹“ და „ა²“ ქვეპუნქტები:

„ა¹) თუ მას შეტანილი აქვს განცხადება სააგენტოში საქართველოში ქორწინების, განქორწინების ან შვილის დაბადების რეგისტრაციისთვის;

ა²) თუ საქართველოს საერთო სასამართლოსა ან ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს წარმოება მისი მონაწილეობით და საქართველოში მის ყოფნას არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი ინტერესების დასაცავად;“.

6. 50-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹ პუნქტი:

„8¹. თუ უცხოელის მიერ წარმოდგენილი საბუთებით დასტურდება, რომ ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული გარემოებები არსებობდა მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე, მას ჯარიმა არ დაეკისრება და საქართველოდან გასვლის ვადის დარღვევა ჩაეთვლება საპატიოდ.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი